21/07/2026

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში სამდღიანი გადამზადების კურსის მეორე ეტაპი მიმდინარეობს

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, ღირებულებითი განათლების პროგრამის ფარგლებში ვანისა და ბაღდათის ეპარქიის სასულიერო პირებისთვის სამდღიანი გადამზადების კურსის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

მონაწილეები ეცნობიან ღირებულებითი განათლების მიზნებს, არაფორმალური სწავლების თანამედროვე მეთოდებს, მოზარდებთან ეფექტიანი კომუნიკაციის პრინციპებსა და უსაფრთხო, თანამშრომლობითი გარემოს შექმნის გზებს. კურსი მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებსა და რეალური შემთხვევების განხილვას.

გადამზადება სასულიერო პირებს დაეხმარება, სკოლებში ღირებულებითი განათლების კლუბების საქმიანობა მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ და ხელი შეუწყონ თანაგრძნობის, პასუხისმგებლობის,

ურთიერთპატივისცემისა და სამართლიანობის განვითარებას.

sazu.ge